პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. ივნისის 30. | № 8 | ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

61. დადგენილება № 29 ც. ა. კ.—სტუდენტთა „დამხმარე კვირეულის“ მოწყობის შესახებ.

62. დადგენილება № 30 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ქალაქებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალის შექმნის შესახებ.

63. დადგენილება № 31 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს ფიზიკურ კულტურის დღესასწაულის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

64. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ 1925 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა და იმავე რიცხვს დამტკიცებული „საბინაო კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების“ გაუქმების შესახებ.

65. დადგენილება ს. კ. ს.—ზოგიერთი ტყის ნაკვეთისა და პარკის შეკრულ ტყედ და პარკად გამოცხადების შესახებ.

66. დადგენილება ს. კ. ს.—საგლეხო მეურნეობათა ვალის ჩამოწერის შესახებ.

67. დადგენილება ს. კ. ს.—1926—27 წლის საალმშენებლო სეზონის შედეგების შესახებ.

68. დადგენილება ს. კ. ს.—გეოლოგიურ და გეოლოგიურ-საკვლევო სამუშაოთა გეგმების საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტთან შეთანხმების წესის შესახებ.

69. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

61. დადგენილება № 29 ც. ა. კ.

სტუდენტთა „დამხმარე კვირეულის“ მოწყობის შესახებ.

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქში მოწყობილ იქნეს სტუდენტთა „დამხმარე კვირეული“ ამა წლ. მაისის 13-დან 20 მდე.

2. ამ „კვირეულის“ სასარგებლოდ დაიბეგროს სამი დღით:

ა) ყველა სანახაობასა და გასართობზე (კინო, ცირკი, დოღი, თეატრი და აზარტული სათამაშო) შესასვლელი ბილეთები ამ ბილეთების ღირებულების ათი პროცენტის რაოდენობით;

ბ) ყველა რესტორანი და სასტუმრო, მისი საშუალო დღიური ბრუნვის მიხედვით ათი პროცენტის რაოდენობით;

გ) ქალაქ ტფილისის გოგირდის აბანო—ათი პროცენტის რაოდენობით.

3. მოეწყოს რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ყულაბებით ფულის მოგროვება.

4. სამაზრო ქალაქებში მოეწყოს კონცერტები—სტუდენტთა ძალების მონაწილეობით.

5. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება დაევალოს სტუდენტთა „დამხმარე კვირეულის“ მთავარ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. მაისის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“-ს 108 №-ში 1928 წ. მაისის 12-ს.

---

62. დადგენილება № 30 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ქალაქებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალის შექმნის შესახებ.

საბინაო ფონდის გადიდებისა და დაცვისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქალაქებში ადგილობრივ ბიუჯეტების შედგენილობაში შეიქმნას საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალები.

2. საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალი უნდა იხარჯებოდეს მუნიციპალიზაციაქმნილი საბინაო ფონდის მოსავლელად, შესაკეთებლად და აღსადგენად და აგრეთვე ახალი საცხოვრებელი სახლების ასაგებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში შევა შემდეგი შემოსავალი:

ა) იმ საცხოვრებელი სადგომების წმინდა შემოსავალი, რომელთა ექსპლოატაციასაც უშუალოდ ადგილობრივი (კომუნალური) მეურნეობის განყოფილებანი ეწევიან.

შენიშვნა. იმ სახლის შესანახად საჭირო ბინის ქირა, რომლის ექსპლოატაციასაც უშუალოდ ადგილობრივი (კომუნალური) მეურნეობის განყოფილება ეწევა, დაიხარჯება მარტოოდენ ამავე სახლის საჭიროებაზე, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებული ნორმით, ხოლო წმინდა შემოსავალი მთლად შედის საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში ამა დადგენილების მეოთხე მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქციის თანახმად.

ბ) საბინაო-საიჯარო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სახლების წმინდა შემოსავალი.

შენიშვნა. სახლის შესანახად საჭირო შემოსავალი დაიხარჯება მარტოოდენ იმავე სახლის საჭიროებაზე სათანადო აღმასკომის მიერ დაწესებული ნორმით, ხოლო წმინდა შემოსავალი შედის საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალში.

გ) საცხოვრებლად იჯარით გაცემული მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების საიჯარო ქირა;

დ) საიჯარო ქირა და საამორტიზაციო ანარიცხები მუნიციპალიზაციაქმნილ სახლში სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ კანცელარიისათვის და სხვა, არა სამრეწველო და სავაჭრო ხასიათის საჭიროებისათვის დაჭერილი სადგომისა;

ე) კანონით ნებადართულ შემთხვევაში მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების გაყიდვით მიღებული თანხები;

ვ) სავაჭრო, სამრეწველო და სახელმწიფო სადგომის საიჯარო ქირის ანარიცხები იმ რაოდენობით, რასაც დააწესებენ სათანადო (სამაზრო, საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო არა ნაკლები 5%-ისა;

ზ) საბინაო მეურნეობის აღსადგენი სპეციალური სესხი;

თ) სხვა შემოსავალი, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

ი) საბინაო ფონდის კაპიტალის პროცენტები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და გამოსცეს ორი კვირის განმავლობაში ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1928 წ. ოქტომბრის 1-დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მაისის 9.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. დადგენილება № 31 ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს ფიზიკურ კულტურის დღესასწაულის შესახებ.

ფიზიკური კულტურის დარგში მუშაობის ადრიცხვის და ფართო მასების წინაშე ფიზკულტურულ ორგანიზაციების დემონსტრაციის მიზნით საქ. ცაკი ადგენს:

1. დაევალოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მოაწყოს 3 ივნისიდან 8 ივნისამდე საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაული.

2. საორგანიზაციო კომიტეტი დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ქართველიშვილი (თავმჯდომარე), ელიავა, იაკუბოვი, ქავთარაძე, მათიკაშვილი, ასრიბეგოვი, ივანოვ-კავკასიელი, სუხიშვილი, აკოფოვი, აბაშიძე, ყურულაშვილი, ფირალოვი, ჯავახიძე, სააკიანი, სილაძე, კვინიხიძე, კანდელაკი, მერკვილაძე, ვ. კიკნაძე, ეგნატაშვილი, გეორგაძე, ტესტელეცი, ლაკობა, გოგიბერიძე, კოზაევი, მხიტაროვი, აბზიანიძე, საენკო, ნესტეროვი, ბერია, ხინჩიგაშვილი, კახიანი, ლევანდოვსკი, ბოლქვაძე, კუჭაიძე, კლემენტიევი.

3. საორგანიზაციო კომიტეტის ბიურო დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: 1. თავმჯდომარე— გ. ქავთარაძე, 2. თავმჯდომარის მოადგილე—ვ. კიკნაძე, 3. ლ. აბაშიძე, 4. ფირალიშვილი, 5. სააკიანი, 6. ნესტეროვი, 7. კვინიხიძე, 8. ეგნატაშვილი, 9. მერკვილაძე, 10. მათიკაშვილი, 11. ხმალაძე, 12. კლემენტიევი.

4. დაევალოს ყველა უწყებებს მიიღონ მონაწილეობა დღესასწაულში, როგორც ცოცხალი ძალის გამოყვანით, ისე თავიანთი ფიზკულტ. ორგანიზაციების მატერიალური უზრუნველყოფით.

5. ყველა ფიზკულტუროსნები მივლინებულნი შეჯიბრზე განთავისუფლებული იქნან სამსახურიდან 8 დღით, საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

6. დებულება და პროგრამა წარმოდგენილი ფ. კ. უ. ს. მიერ დამტკიცდეს.

7. დაევალოს ქ. ტფილისის კომენდანტს აღმოეჩინოს ბინა ჩამოსულ ფიზკულტუროსნებს.

8. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს აღმოუჩინონ დახმარება ფ. საბჭოებს, ფიზკულტუროსნების გამოგზავნაზე დღესასწაულზე ქ. ტფილისში.

9. მობილიზაციაქმნილი იქნენ ყველა ფიზკულტ-მომუშავენი წურთვნელები საბჭოების და უწყებების, ფ. კ. უ. საბჭოს განკარგულებაში.

10. აღიძრას შუამდგომლობა ა/კ. ცაკის წინაშე, რათა დაწესებული იქნეს უფასო ადგილები (проезд) ფიზკულტუროსნებისათვის მივლენილ საქართველოს დღესასწაულზედ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მაისის 24.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

64. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ 1925 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა და იმავე რიცხვს დამტკიცებული „საბინაო კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების“ გაუქმების შესახებ.

ამიერ/კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ-ის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტების ლიკვიდაციის თაობაზე“ 1928 წ. მარტის 7-ს თარიღით გამოცემული (ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. 6 №-რი, მუხ. 60) დადგენილების თანახმად, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 9-ს დადგენილება „მუშათა საბინაო კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ და იმავე რიცხვს დამტკიცებული „დებულება მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს მოახდინოს, როგორც მასთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტისა, ისე ადგილობრივი დამხმარე კომიტეტების ლიკვიდაცია და მოაწყოს საქართველოს სსრ შრომის კომისარიატის კოლეგიასთან მუშათა საბინაო მშენებლობის სექცია, რომლისათვისაც შეიმუშაოს და გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საბინაო პოლიტიკის შესახებ“ 1928 წ. იანვრის 4-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-რი, მუხ. 49) დადგენილების 20 და 21 მუხლ. საფუძველზე.

საქართველოს სოც.საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აპრილის 20.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. დადგენილება ს. კ. ს.

ზოგიერთი ტყის ნაკვეთისა და პარკის შეკრულ ტყედ და პარკად გამოცხადების შესახებ.

იშვიათი ჯიშის მცენარეთა და პარკების დასაცავად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოცხადებულ იქნეს შეკრულ ტყედ და პარკად ამა დადგენილებასთან დართულ სიაში ჩამოთვლილი ტყის ნაკვეთები და პარკები.

2. შეკრული ტყეებისა და პარკების ნამდვილი საზღვრების ადგილობრივ შემოფარგვლა, ამ საზღვრების გეგმაზე გადატანით, დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აპრილის 24.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „კომუნისტი"-ს 117 №-ში 1928 წ. მაისის 23-ს.

ს ი ა

შეკრული ტყის ნაკვეთებისა და პარკებისა.

1. ურთხმელას ტყე—ბაწარის ხეობაში, თელავის მაზრა, თელავის სატყეო.
2. გოგნის ბზის ტყე—ოკრიბაში, 50 ჰექტ., ქუთაისის მაზრა., ქუთ. სატყეო.
3. ელდარის ფიჭვის ჭალა—ელდარში, სიღნაღის მაზრა, შირაქის სატყეო.
4. ლაგოდეხის ტყე—500 ჰექტარი, ანცალის ხევში—სიღნაღის მაზრა, სიღნაღის სატყეო.
5. შავი ტყე, 24 ჰექტ., ბორჯომის საკურორტო რაიონში, ბორჯომის სატყეო, ლომისის მთაში.
6. ნაღვრევის ტყე—300 ჰექტარი, წაღვერში, ბორჯ. სატყეო რაიონში, წაღვერის სატყეო.
7. სახეცვლილი ფიჭვი, 40 ჰექტ., მარიამ-ჯვარის აგარაკში, ტფილ. მაზრა, გარე კახეთის სატყეო.
8. ძელქვა, 20 ჰექტ., ვარციხეში და აჯამეთში, ქუთაისის მაზ., ქუთ. სატყ.
9. პონტის მუხა, 14 ჰექტ., ოზურგეთის მაზ., ოზურგ. სატყეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. წაბლარი, 40 ჰექტ., ტყიბულის აგარაკში, ქუთ. მაზრა.

11. კევის ხე (საღსალაჩი) და ღვია, 100 ჰექტ., სიღნაღის მაზრა, შირაქის სატყეო.

12. კოჯრის ბაღი (ტფ. მაზრა).

13. ზუგდიდის პარკი (ზუგდიდის მაზრა).

14. გორდის პარკი (ქუთაისის მაზრა).

---

66. დადგენილება ს. კ. ს.

საგლეხო მეურნეობათა ვალის ჩამოწერის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. ოქტომბრის 15-ს მანიფესტისა (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 61 №-რი, მუხ. 613) და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 2-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 61 №-რი მუხ. 618) თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩამოწერილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ საგლეხო მეურნეობათა (როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური) მთელი ის ვალი, 1927 წ. ნოემბრის 7-თვის გადაუხდელი, რაც მათ 1924/25 წლის სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციისათვის სესხად მიეცათ საკრედიტო ამხანაგობების მეშვეობით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის გადაცემული თანხებიდან 165.374 მან. და 10 კაპ. რაოდენობით.

2. ჩამოიწეროს, დაბრუნების სრული უიმედობის გამო, იმავე კრედიტებიდან და იმავე მიზნით ყოფილი „წარმოკავშირი"-სათვის მიცემული სესხი 122.412 მან. რაოდენობით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუსწროს 1928 წ. ივნისის 1-მდე საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებმაც თავიანთი ვალი საკუთარი სახსარით დაფარეს, ანგარიში ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის იმ ინსტრუქციის საფუძველზე, რაც სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოცემულ იქნა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 2-ს დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აპრილის 24.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 112 №-ში 1928 წ. მაისის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. დადგენილება ს. კ. ს.

1926/27 წლის სააღმშენებლო სეზონის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—სამრეწველო აღმშენებლობის დარგში და შრომის სახალხო კომისარიატს—საბინაო მშენებლობის დარგში და აგრეთვე ყველა სახალხო კომისარიატს და ორგანიზაციას, რომელიც სააღმშენებლო მუშაობას აწარმოებს, მიმდინარე წლის ივნისის 15-სათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს დაწვრილებითი ანგარიში სააღმშენებლო სეზონის შედეგების შესახებ, სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს მშენებლობის ძირითადი ელემენტები, როგორიც არის, მაგალითად: მშენებლობაში მოთავსებული თანხებისა და შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა და მუშა-ხელისა და მასალის მიწოდების მდგომარეობა, იმის აღნიშვნით, თუ რა მიღწევებია მშენებლობის გაიაფების საქმეში.

2. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს ხოლმე სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, დადგენილი წესებითა და ფორმით, ასლი აღმშენებლობის საანგარიშო მასალის ცნობებისა და ჯუმლისა იმ მოთხოვნის მიხედვით, რაც აღნიშნულია სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1928 წლის თებერვლის 18-ის თარიღისა და 405 №-ის ბრძანებაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. მაისის 16.
ტფილისი—სასახლე.

---

68. დადგენილება ს. კ. ს.

გეოლოგიურ და გეოლოგიურ-საკვლევო სამუშაოთა გეგმების სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტთან შეთანხმების წესის შესახებ.

სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ. მარტის 16-ს დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებათ და საწარმოთ მათ მიერ საწარმოებელ გეოლოგიურ და გეოლოგიურ-საკვლევო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოთა გეგმები წინასწარ შეუთანხმონ ხოლმე სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების მეშვეობით, არა უგვიანეს ყოველი წლის აპრილის 1-სა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილებას, 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთაგან გეგმების მიღებისთანავე, შეიმუშაოს საქართველოში საწარმოებელ გეოლოგიურ გამოკვლევათა რესპუბლიკანური საჯუმლო გეგმა და წარუდგინოს იგი შესათანხმებლად სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გეოლოგიურ კომიტეტს არა უგვიანეს ყოველი წლის აპრილის 20-სა, სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული, ა/წ. მარტის 16-ს, დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მაისის 16.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 119 №-ში 1928 წ. მაისის 25.

---

69. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შედგენის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს 1928 წლის ივლისის 25-სა საქართველოს სახალხო მეურნეობის 1928-29 წლის საკონტროლო ციფრები. საკონტროლო ციფრების მოცულობა, პროგრამა და შედგენის წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს სსრკ და ა/კ. სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიების მოთხოვნებთან.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას შეადგინოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საკონტროლო ციფრები იმ პროგრამით და იმ ვადაზე, რასაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია შეიმუშავებს.

3. საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო მუშაობის წარმატებით განხორციელებისათვის უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმო კომისიას მიიწვიოს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების საკონტროლო ციფრების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად წინა მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა პასუხისმგებელი წარმომადგენელნი და აგრეთვე მოსთხოვოს აღნიშნულ დაწესებულებათ, მის მიერვე დადგენილი ფორმით და ვადაზე, საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო სტატისტიკური ცნობები და ყოველგვარი სხვა მასალა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგინოს ხოლმე ყოველთვიურად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს მოხსენება საკანტროლო ციფრების შედგენისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობისა და მუშაობის წარმატებით მსვლელობის შემაფერხებელ დაბრკოლებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭ. საქმეთა მმართვ. მოადგილე **ს. ხტეფანოვი.**

1928 წ. მაისის 16.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა
მთავლიტი ტირაჟი 1.250.